საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს

ბატონ მიხეილ ჩხენკელს

წინადადება

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების სახელმძღვანელოების/სერიების მაკეტების რეცენზირების პროცესის გაუმჯობესების თაობაზე

(შემუშავებულია და გეგზავნებათ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ “საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ” ქვეპუნქტის შესაბამისად)

ბატონო მიხეილ,

მოგეხსენებათ, სასკოლო სახელმძღვანელოების შინაარსობრივი რეცენზირების ეტაპზე ადამიანის უფლებათა ექსპერტების ჩართულობის უზრუნველსაყოფად უწყებათაშორის თანამშრომლობას დიდი მნიშვნელობა აქვს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების სრულფასოვანი განხორციელებისთვის.

საქართველოს სახალხო დამცველსა და სამინისტროს შორის ამ სფეროში 2019 წელს ჩამოყალიბებული თანამშრომლობის პოზიტიური პრაქტიკა, 2020 წლის მსგავსად, 2021 წლის 03 მარტიდან 17 ივნისის ჩათვლით მიმდინარე შინაარსობრივი რეცენზირების ეტაპზეც შენარჩუნდა.[1] ამ მიმართებით საგულისხმოა, რომ საქართველოს სახალხო დამცველის მიერ 2020 წლის რეცენზირების პროცესის შეფასების შედეგად გამოცემული, დიდწილად ორგანიზაციული დატვირთვის მქონე რეკომენდაციების უმეტესობა სამინისტრომ გაიზიარა.[2] კერძოდ, მნიშვნელოვნად გაფართოვდა იმ საგანთა ჩამონათვალი, რომელთა მაკეტების შეფასებაშიც ჩართულნი იყვნენ აპარატის მიერ ნომინირებული რეცენზენტები. ამასთან, რეკომენდაციათა გაზიარების შედეგად, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა რეცენზენტთა საგნობრივი ჯგუფების მუშაობის ორგანიზაციული ასპექტიც.

საქართველოს სახალხო დამცველმა, მათ შორის ნომინირებული რეცენზენტებისაგან მიღებული ინფორმაციის გამოყენებით, შეაფასა მიმდინარე წელს დასრულებული

[1] “ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგიერთი საგნის, საბაზო საფეხურის VII და VIII კლასების ზოგიერთი საგნისა და IX კლასის სასკოლო სახელმძღვანელოებზე/სერიებზე გრიფირების გამოცხადებისა და პირობების განსაზღვრის შესახებ” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2020 წლის 20 ოქტომბრის MES 1 20 0001013153 ბრძანების პირველი მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით დამტკიცებული დანართი N2; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2020 წლის 21 დეკემბრის MES 7 20 0001217063 წერილი.
[2] საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის 23 სექტემბრის 17-1/9393 წინადადება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების სახელმძღვანელოების/სერიების მაკეტების რეცენზირების პროცესის გაუმჯობესების თაობაზე, გვ. 10-11; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2021 წლის 22 მარტის MES 3 21 0000267398 წერილი.

შინაარსობრივი რეცენზირების პროცესის ზოგიერთი ასპექტის შესაბამისობა ადამიანის უფლებათა განათლების ეროვნულ და საერთაშორისო სტანდარტებთან. მიუხედავად მიღწეული პროგრესისა, პრაქტიკაში საქმის გარემოებათა სრულყოფილად შესწავლა ცხადყოფს, რომ საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის 23 სექტემბრის წინადადებაში ასახული სისტემური, პროცესის არსისკენ მიმართული გამოწვევები კვლავ აქტუალურია. ამდენად, შინაარსობრივი რეცენზირების პროცესი მნიშვნელოვანწილად არ შეესაბამება ზემოხსენებულ სტანდარტებს.

ფაქტობრივი გარემოებები

შინაარსობრივი რეცენზირება სასკოლო სახელმძღვანელოების გრიფირების პროცესის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეტაპია, რომლის ფარგლებშიც სახელმძღვანელო სხვადასხვა ჭრილში ფასდება. ამ პროცესში სხვადასხვა სტატუსის მქონე რეცენზენტი მონაწილეობს.[3]

უფლებრივი თვალსაზრისით სახელმძღვანელოს ინდივიდუალური შეფასებისას, „სხვა სპეციალისტი“ და ფსიქოლოგი მასალას ამოწმებენ კონკრეტული ფუნქციური დატვირთვის ფარგლებში. კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციასთან და გაეროს მდგრადი განვითარების პრინციპებთან სახელმძღვანელოთა თავსებადობას მხოლოდ „სხვა სპეციალისტი“, ხოლო თანასწორობისა და ეთიკის ნორმების დაცვის, ასევე ძალადობისაგან მოწოდების აკრძალვის კრიტერიუმებს “სხვა სპეციალისტთან” ერთად ფსიქოლოგიც იყენებს.[4]

თითოეული რეცენზენტი წარმოდგენილი მასალის შეფასებას ინდივიდუალურად, მხოლოდ მის ფუნქციურ დატვირთვაში შემავალი კრიტერიუმების ფარგლებში ახორციელებდა საგნობრივი ჯგუფის შეხვედრამდე და შეიმუშავებდა არასავალდებულო რეკომენდაციებს, რომლებიც შემდგომში ჯგუფის სხდომაზე განიხილებოდა.[5] ამ მიმართებით საგულისხმოა, რომ განმცხადებლისათვის აუცილებლად შესასრულებელი მხოლოდ ის რეკომენდაციებია, რომლებიც სხვადასხვა სტატუსის მქონე ყველა შემფასებლის მონაწილეობით გამართულ სხდომაზე შემუშავდება და დამსწრეთა უმრავლესობის მხარდაჭერას მოიპოვებს.[6]

---

[3] „ზოგადი განათლების საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტის რეცენზირების წესის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 05 მარტის №247 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის MES 6 20 0001239194 ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული დანართის მე-3 მუხლის მეორე პუნქტი. [შემდგომში: რეცენზირების წესი]

[4] „ზოგადი განათლების საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტის რეცენზირების წესის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 05 მარტის №247 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის MES 6 20 0001239194 ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული რეცენზენტთა ფუნქციური დატვირთვა, კრიტერიუმი 6.

[5] რეცენზირების წესის მე-9 მუხლი.

[6] იქვე, მე-9 მუხლის მესამე პუნქტი.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა „სხვა სპეციალისტების“ მონაწილეობით ჩატარებული 14 საგნობრივი ჯგუფის სხდომათა ოქმები. აღნიშნულის შედეგად გამოიკვეთა, რომ სხვადასხვა სტატუსის მქონე რეცენზენტებს განსაკუთრებით პრობლემური შეხედულებები და განწყობები ჰქონდათ იმ რეკომენდაციების მიმართ, რომლებიც სახელმძღვანელოებში გენდერული თანასწორობის დაცვას/წახალისებას ისახავდა მიზნად.[7] ხსენებული პრობლემა ყველაზე ხშირად ქართული ენისა და ლიტერატურის, ასევე სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგნობრივ ჯგუფებში იჩენდა თავს.[8] რეცენზენტთა ნაწილი აცხადებდა, რომ გენდერული თანასწორობის პოზიტიურად წახალისება შინაარსობრივი რეცენზირების კრიტერიუმის მოთხოვნა არ იყო.[9]

ქართული ენისა და ლიტერატურის სხვადასხვა საგნობრივი ჯგუფის წევრები, 2020 წლის მსგავსად, კვლავ მიუთითებდნენ, რომ დემოკრატიული მოქალაქის, ანუ კულტურული მრავალფეროვნებისა და სხვა ღირებულებების მხარდამჭერი პიროვნების ჩამოყალიბება ექსკლუზიურად ერთი საგნის - „სამოქალაქო განათლების/მოქალაქეობის“ ფუნქციაა.[10] ამ კონტექსტში აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ რეცენზენტთა შერჩევის კრიტერიუმები არცერთი სტატუსის მქონე რეცენზენტისთვის არ ადგენს ადამიანის ძირითად უფლებებთან თავსებადი ღირებულებების მოთხოვნას.[11]

ტრენინგები და საჯარო განხილვის სისტემა

სამინისტროს მონაცემებით, 2021 წლის დასაწყისში, რეცენზენტთა საგნობრივი ჯგუფის წევრთათვის ჩატარდა ერთი ტრენინგი ადამიანის უფლებათა შესახებ.[12] თემატური თვალსაზრისით, აღნიშნული შეეხებოდა შშმ პირთა, ქალთა და ბავშვთა უფლებებს.[13] აღსანიშნავია, რომ ხსენებული ტრენინგი ჩატარდა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდის მიერ და მათივე მონაცემებით, ტრენინგში მონაწილეობდა 50-მდე პირი.[14]

ამავე კონტექსტში უნდა ითქვას, რომ მიმდინარე წელს დაინერგა რეცენზირებისათვის წარმოდგენილი მაკეტების საჯარო განხილვის სისტემა.[15] აღნიშნულის მიხედვით, განსაზღვრულ პერიოდში ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეეძლო მასალის ანონიმური ეგზემპლარის, მათ შორის სამართლებრივ და ეთიკურ ნორმებთან შესაბამისობის შესახებ

---

[7] სსიპ. განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის 2021 წლის 07 სექტემბრის MES 8 21 0000869548 წერილის დანართის სახით წარმოდგენილი სხდომათა ოქმები.
[8] იქვე.
[9] იქვე.
[10] იქვე.
[11] იქვე.
[12] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2021 წლის 27 სექტემბრის MES 8 21 0000987637 წერილი.
[13] იქვე.
[14] იქვე.
[15] რეცენზირების წესის მე-10 მუხლი.

დაეფიქსირებინა მოსაზრება.[16] რეცენზენტთა საგნობრივი ჯგუფი ვალდებული იყო გასცნობოდა ამ მოსაზრებებს.[17]

ავთენტურობის დადასტურება და გასაჩივრება

რეცენზენტთა მიერ გაცემულ რეკომენდაციებთან მასალების ავთენტურობის შემოწმებისას, შესაბამისი სამართლებრივი ჩარჩო მიუთითებს, რომ საგნობრივ ჯგუფს ორი გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება აქვს: (1) სახელმძღვანელოს მაკეტის წარმოდგენილი ვერსია გაცემული რეკომენდაციების შესაბამისია, ან (2) არ შეესაბამება მას. ამ უკანასკნელ შემთხვევაში მაკეტი პროცესს ეთიშება.[18]

რეცენზენტთა საგნობრივი ჯგუფის რეცენზიების გასაჩივრების მიზნით შექმნილი სააპელაციო კომისია უფლებამოსილია: გასაჩივრებული კრიტერიუმის ჭრილში გასცეს ახალი რეკომენდაცია, შეცვალოს რეცენზენტთა მიერ გაცემულ რეკომენდაციათა შინაარსი, ან უცვლელად დატოვოს ისინი.[19]

სააპელაციო კომისიის დაკომპლექტება მინისტრის დისკრეციული უფლებამოსილებაა, ხოლო შესაბამისი ბრძანების ანალიზი, 2020 წლის მსგავსად მიუთითებს, რომ შესაფასებელ პერიოდში მისი წევრები მხოლოდ სამინისტროს სხვადასხვა ადმინისტრაციულ თანამდებობაზე მყოფი პირები, ასევე სკოლის დირექტორები, იყვნენ.[20]

აღსანიშნავია, რომ უფლებრივ ჭრილში გასაჩივრდა 24 სახელმძღვანელო.[21] კომისიამ განხილვის პროცესში არ მოიწვია დამოუკიდებელი ექსპერტი ან „სხვა სპეციალისტი“-ს სტატუსის მქონე რეცენზენტი.[22] საგულისხმოა, რომ ამ პროცესში ჩართვის შემთხვევაშიც კი,

---

[16] იქვე, მე-10 მუხლის მესამე პუნქტის ‘გ’ ქვეპუნქტი.

[17] იქვე, მე-10 მუხლის მეხუთე პუნქტი.

[18] რეცენზირების წესის მე-13 მუხლის მეორე პუნქტი და მეექვსე პუნქტის ‘ა’ ქვეპუნქტი.

[19] „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის გრიფირებისას განმცხადებელთა საჩივრის წარდგენის, განხილვის და გადაწყვეტილების მიღების წესის და ვადების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 მაისის N582 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 02 აპრილის MES 7 21 0000320130 ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული დანართის მეორე პუნქტის ‘ზ.ა’-‘ზ.გ’ ქვეპუნქტები.[შემდგომში- სააპელაციო კომისიის მუშაობის წესი]

[20] „ფიზიკურ ან იურიდიულ პირთა (რომელიც საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წარუდგენს გრიფირების განაცხადს კონკრეტული სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტისთვის გრიფის მინიჭების თხოვნით) მოსაზრებების მიღებისა და განხილვის მიზნით დროებითი კომისიის შექმნის შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 17 მაისის N619 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2020 წლის 04 მაისის MES 7 20 00361060 ბრძანების პირველი პუნქტი.

[21] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2021 წლის 27 სექტემბრის MES 8 21 0000987637 წერილი.

[22] იქვე.

არცერთ ხსენებულ პირს გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის უფლებამოსილება არ აქვს.[23]

გასათვალისწინებელია, რომ რეცენზენტთა საგნობრივი ჯგუფის მიერ გაცემულ რეკომენდაციებთან სახელმძღვანელოს ავთენტურობის შეფასებისას, კომისიის გადაწყვეტილებები თითოეული რეცენზენტისათვის სავალდებულოა შესასრულებლად.[24]

სამართლებრივი შეფასება

ზოგადი პრინციპები

ზოგად განათლებაში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიზნების ფუნდამენტური ნაწილია მოსწავლის ჩამოყალიბება ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულების მქონე თავისუფალ პიროვნებად და ამის მისაღწევად ყველა საჭირო პირობის შექმნა.[25] ამასთან, „ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის დადგენილების მიხედვით, სკოლამ მოსწავლეებს ადამიანის უფლებების დაცვისა და პიროვნების პატივისცემის უნარი უნდა გამოუმუშაოს, რომელსაც იგი გამოიყენებს პრაქტიკაში, საკუთარი და სხვათა უფლებების დასაცავად.[26]

ზემოხსენებულთან ერთად, განათლებისადმი ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა გულისხმობს, რომ ყველა საგანმანათლებლო კომპონენტი კურიკულუმის, სასწავლო მასალებისა და მეთოდების ჩათვლით, ადამიანის უფლებების შესახებ სწავლებისაკენ იყოს მიმართული.[27]

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, დემოკრატიულ საზოგადოებაში განათლების უფლება სხვა უფლებათა რეალიზების ფუნდამენტია და იმდენად მნიშვნელოვანი როლი აკისრია, რომ მისი შემზღუდველი განმარტება შეუსაბამო იქნება საკუთრივ მუხლის მიზანთან.[28] ამასთან ერთად, სასამართლომ დაამკვიდრა მიდგომა, რომ განათლების უფლება საერთაშორისო სამართალში არსებულ სხვა შესაბამის უფლებათა დაცვის დოკუმენტებთან ჰარმონიაში უნდა იქნეს გაგებული.[29]

---

[23] „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის გრიფირების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 16 თებერვლის №28/ნ ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული დანართის მე-10 მუხლის მესამე პუნქტი. [შემდგომში- გრიფირების წესი].

[24] სააპელაციო კომისიის მუშაობის წესის მე-7 მუხლის მე-8 პუნქტი.

[25] ზოგადი განათლების შესახებ "საქართველოს კანონის მესამე მუხლის პირველი პუნქტის „ა" და „ბ" ქვეპუნქტი.

[26] „ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების დამტკიცების შესახებ "საქართველოს მთავრობის 2004 წლის 18 ოქტომბრის N84 დადგენილების „თ" ქვეპუნქტი.

[27] „Revised draft plan of action for the first phase (2005-2007)of the World Programme for Human Rights Education" Adopted by UN General Assembly, 02 March 2005 პარაგრაფი 17 (a) ქვეპუნქტი.

[28] Guide on Article 2 of Protocol No.1 to the European Convention on Human Rights 31/08/2021, პარაგრაფი 8, იხ. https://bit.ly/3FfMiC1 10/04/2021.

[29] იქვე, პარაგრაფი 10.

გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის განმარტებით: „კონვენციის ღირებულებებზე დაფუძნებული შინაარსი წარმოადგენს ყოველი ბავშვისათვის აუცილებელ ინსტრუმენტს იმისთვის, რომ მან შეძლოს საკუთარი ცხოვრების დაბალანსებულად წარმართვა და თანამედროვე გამოწვევებს გაუმკლავდეს ადამიანს უფლებათა პრინციპებზე დაყრდნობით.“[30]

ხსენებულთან ერთად, კომიტეტის ერთმნიშვნელოვანი პოზიციაა, რომ კონვენციაში განმტკიცებული ბავშვის განათლების მიზნების მიღწევა მოითხოვს სასკოლო სახელმძღვანელოების სისტემურ გადახედვას.[31] გაეროს მიერ დადგენილი სტანდარტის შესაბამისად, ეს პროცესი ისე უნდა წარიმართოს, რომ შედეგად მიღებული “[…]სასწავლო მასალები შეესაბამებოდეს ადამიანის უფლებათა პრინციპებს.“[32]

სახალხო დამცველი კვლავ მიუთითებს, რომ დემოკრატიულ ღირებულებებზე აღზრდილი, მრავალფეროვნებისა და ტოლერანტობის პრინციპების მხარდამჭერი, ადამიანის უფლებათა პატივისცემის სრულფასოვანი უნარის მქონე მოქალაქის ჩამოყალიბება, საქართველოს ზოგადი განათლების მთელი სისტემის და არა ექსკლუზიურად რომელიმე საგნის მიზანია. აღნიშნულს ადასტურებს საბაზო და საშუალო საფეხურის სახელმძღვანელოთა რეცენზირების მარეგულირებელი ბრძანების ანალიზი.[33] ხსენებულ წესში განსაზღვრული უფლებრივი ინდიკატორები გამოიყენება მოცემული საფეხურების ყველა საგნის და არამხოლოდ რომელიმე კონკრეტულის მიმართ.

თანასწორობის დაცვის კრიტერიუმის გამოყენების საკითხი

რეცენზენტთა საგნობრივ ჯგუფში გენდერული თანასწორობის წახალისებისკენ მიმართული რეკომენდაციების განხილვისას სხვადასხვა რეცენზენტის მიერ გამოვლენილი განწყობებისა და შეხედულებების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია აღინიშნოს გაეროს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტის მოსაზრება, რომლის მიხედვითაც სახელმწიფოებმა რეგულარული გადახედვის გზით უნდა ჩამოაყალიბონ არამხოლოდ

[30] UN Committee on the Rights of the Child (CRC), General comment No. 1 (2001), Article 29 (1), The aims of education, 17 April 2001, CRC/GC/2001/1, იხ. https://bit.ly/35oDnM8 10/04/2021 პარ. 3.

[31] იქვე, პარ. 18.

[32] Revised draft plan of action for the first phase (2005-2007)of the World Programme for Human Rights Education“ Adopted by UN General Assembly, 02 March 2005 პარაგრაფი 19 (c) პუნქტის (iii) ქვეპუნქტი. იხ. https://bit.ly/3mlK1MU 04/10/2021

[33] ,,ზოგადი განათლების საბაზო და საშუალო საფეხურების სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტის რეცენზირების შინაარსობრივი და ტექნიკური კრიტერიუმების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2018 წლის 31 დეკემბრის N768 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 23 ოქტომბრის MES 4 20 0001033253 ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული დანართის მეექვსე კრიტერიუმი.

სტერეოტიპებისაგან თავისუფალი, არამედ ქალების მიმართ დაბალანსებული, ზუსტი და პოზიტიური ხედვის წამახალისებელი სახელმძღვანელოები და სხვა სასწავლო მასალები.[34]

აღსანიშნავია, რომ ამ ლოგიკას ამყარებს რეცენზირების წესში ჩამოყალიბებული შესაბამისი კრიტერიუმის სიტყვასიტყვითი ანალიზიც, რომლის მიხედვითაც: „[...]საგნობრივი სპეციფიკის გათვალისწინებით, ტექსტებსა და ილუსტრაციებში *დაცულია თანასწორობა* [მათ შორის] სქესის და სხვა ნიშნით."[35] მნიშვნელოვანია შევნიშნოთ, რომ ხსენებულ წესში დისკრიმინაციის აკრძალვის ნეგატიურად ფორმულირებული კრიტერიუმი ცალკეა მოცემული, ხოლო ზემოხსენებული ციტატა კი დამოუკიდებელი ქვეკრიტერიუმის სახითაა წარმოდგენილი.[36]

ამდენად, სახალხო დამცველი განმარტავს, რომ შინაარსობრივი რეცენზირებისას სახელმძღვანელოებში თანასწორობის დაცვის კრიტერიუმი გამოყენებული უნდა იქნეს არამხოლოდ სასწავლო მასალიდან რაიმე ნიშნით დისკრიმინაციული, ან მისი წამახალისებელი შინაარსის ამოღების, არამედ, მაგალითად, საქართველოში მათ შორის გენდერული თანასწორობის წახალისების მიზნითაც.[37]

გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის მითითებით, კონვენციაში განმტკიცებული განათლების მიზნებისა და ღირებულებების რეალური დანერგვა შეუძლებელია თუ ის პირები, რომლებმაც, უნდა გადასცენ, წაახალისონ და ასწავლონ ეს ფასეულობები, თავად არ განასახიერებენ ამ ღირებულებებს და დარწმუნებულნი არ არიან მათ მნიშვნელობაში."[38] აღნიშნულის უზრუნველსაყოფად ეს ორგანო აუცილებლად მიიჩნევს ბავშვის განათლების პროცესში ჩართული ყოველი პირისთვის კონვენციის 29-ე მუხლის პირველ პუნქტში ასახული პრინციპების წამახალისებელი ტრენინგ პროგრამების შემუშავებასა და ჩატარებას.[39]

ამ კონტექსტში, სახალხო დამცველი კვლავ ხაზს უსვამს, რომ რეცენზენტთა საგნობრივი ჯგუფის ყველა წევრი, განურჩევლად ფუნქციური დატვირთვისა, არსებით მონაწილეობას იღებს მოსწავლეთათვის განკუთვნილი სავალდებულო სასწავლო შინაარსის ფორმირებისა და

---

[34] UN Committee on the Elimination of Discrimination against Women General recommendation No. 36 (2017) on the Right of Girls and Women to Education, 16 November 2017, C/GC/36, იხ. https://bit.ly/2DmxINV 04/10/2021 პარ. 27 (d) ქვეპუნქტი.

[35] ,,ზოგადი განათლების საბაზო და საშუალო საფეხურების სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტის რეცენზირების შინაარსობრივი და ტექნიკური კრიტერიუმების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2018 წლის 31 დეკემბრის N768 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 23 ოქტომბრის MES 4 20 0001033253 ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული დანართის კრიტერიუმი 6.1.2.

[36] იქვე, კრიტერიუმი 6.1.1.

[37] აღნიშნული ასევე დასტურდება სახელმძღვანელოთა შეფასების საერთაშორისო გამოცდილების გაანალიზების შედეგად. „თანასწორობის პოლიტიკა ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში" საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია გვ. 21, იხ. https://bit.ly/3uFmV7N 04/10/2021

[38] UN Committee on the Rights of the Child (CRC), General comment No. 1 (2001), Article 29 (1), The Aims of Education, 17 April 2001, CRC/GC/2001/1, პარ. 18, იხ. https://bit.ly/35oDnM8 04/10/2021.

[39] იქვე.

მისთვის ადამიანის ძირითადი უფლებების გამავრცელებელი/წამახალისებელი ღირებულებების გადაცემის პროცესში.

ამ ვითარებაში, სახელმწიფოს კვლავ არ აქვს შემუშავებული რეცენზენტებისათვის სავალდებულოდ გასავლელი ტრენინგები ადამიანის უფლებათა საკითხებში.[40] რეცენზირების პროცესში ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომების სრულფასოვნად რეალიზებისათვის აუცილებელია, ყველა შერჩეულ რეცენზენტს ჩაუტარდეს სავალდებულო ტრენინგები ადამიანის ძირითად უფლებთან დაკავშირებულ თემებზე. მეტიც, კვლავ გამოწვევაა ის, რომ რეცენზენტთა შერჩევისას ყურადღება არ მახვილდება ადამიანის ძირითად უფლებებთან შერჩეული პირის ღირებულებათა თავსებადობაზე.[41]

სახალხო დამცველის შეფასებით, ეს მიდგომა კიდევ უფრო პრობლემურია ამ სფეროში ჩატარებული უახლესი კვლევების შედეგების გათვალისწინებით.[42] კერძოდ, ზოგიერთი საგნობრივი ჯგუფის დარგის მეცნიერებისა და პრაქტიკოსი მასწავლებლების მოსაზრებით, „სხვა სპეციალისტების“ მიერ გენდერული თანასწორობის ჭრილში გაცემული რეკომენდაციები „[...]ხელოვნური და ნაკლებად მნიშვნელოვანია.“[43] საგულისხმოა, რომ ამ საკითხთან მიმართებით, მაკეტების ავტორთა ნაწილსაც მსგავსი პოზიცია აქვს, საზოგადოებაში კი გენდერული სტერეოტიპები ფართოდაა გავრცელებული.[44]

საჯარო განხილვის შერჩეული მოდელის ხარვეზები

ამავე კონტექსტში დამოუკიდებლად უნდა შეფასდეს რეცენზირებისათვის წარმოდგენილი მაკეტების საჯარო განხილვის შერჩეული მოდელი. სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ საქართველოში გენდერული სტერეოტიპების გავრცელების სიღრმის, ასევე გენდერული თანასწორობის მიმართ რეცენზენტთა დაბალი მგრძნობელობის გათვალისწინებით, სამართლებრივ და ეთიკურ ნორმებთან მასალის შემოწმების ფართო საზოგადოებისათვის მინდობა პოტენციურად ხელს შეუშლის ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის რეალიზებას ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში. ამ დასკვნას ამყარებს საერთაშორისო გამოცდილებაც, რომელიც შეფასებისას საზოგადოებრივი საწყისის უზრუნველსაყოფად,

---

[40] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2021 წლის 27 სექტემბრის MES 8 21 0000987637 წერილი.

[41] საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2020 წლის 12 ივნისის MES 5 20 00464622 წერილის დანართი. ამ დოკუმენტში მოცემულია კრიტერიუმები, რომლებსაც სამინისტრო რეცენზენტთა შერჩევისას პრაქტიკაში იყენებს.

[42] „თანასწორობის პოლიტიკა ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში“ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია გვ. 40, იხ. https://bit.ly/3uFmV7N 04/10/2021; „სასკოლო სახელმძღვანელოების ავტორების საჭიროებების კვლევა ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები“ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია გვ. 6, იხ. https://bit.ly/3a5fzRq 04/10/2021

[43] „თანასწორობის პოლიტიკა ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში“ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია გვ. 40, იხ. https://bit.ly/3uFmV7N 04/10/2021

[44] „სასკოლო სახელმძღვანელოების ავტორების საჭიროებების კვლევა ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები“ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, გვ. 14, იხ. https://bit.ly/3a5fzRq 04/10/2021; „კაცები და გენდერული ურთიერთობები საქართველოში“ UNFPA 2014 გვ. 76. იხ. https://bit.ly/3A2QtgI

საგნობრივ ჯგუფში მშობლის ჩართვას ანიჭებს უპირატესობას და 2020 წლის 19 ოქტომბრამდე საქართველოშიც დიდწილად იდენტური მოდელი მოქმედებდა.[45]

ავთენტურობის დადასტურების ეტაპისა და გასაჩივრების მექანიზმის ხარვეზები

საგულისხმოა, რომ ავთენტურობის დადასტურების ეტაპზე კვლავ პრობლემურია რეცენზირების წესში ნაწილობრივ ავთენტურობის ცნების არარსებობა.[46] სახალხო დამცველი კვლავ აღნიშნავს, რომ ეს პრობლემურია მაშინ, როცა „განმცხადებლის სახელმძღვანელო გაცემულ რეკომენდაციებს იმდენად შეესაბამება, რომ არ იმსახურებს გრიფირების პროცესიდან გამოთიშვას, თუმცა მასალის სრულყოფილ შესაბამისობას ყველა გაცემულ რეკომენდაციასთან გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს."[47] მოცემულ ვითარებაში, კვლავ მნიშვნელოვანია ნაწილობრივ ავთენტურობის ცნების დანერგვა და საგნობრივი ჯგუფისთვის, პირველი ეტაპის მსგავსად, ავტორთათვის შესასრულებლად სავალდებულო რეკომენდაციების გაცემის უფლებამოსილების მინიჭება.[48]

ავთენტურობის დადასტურების ეტაპის მსგავსად, 2020 წელს იდენტიფიცირებული გამოწვევები კვლავ აქტუალურია შინაარსობრივი რეცენზირების პროცესში მოქმედ გასაჩივრების მექანიზმთან მიმართებით. კერძოდ, სააპელაციო კომისიის შემადგენლობაში კვლავ არ შედიოდა არცერთი ადამიანის უფლებათა ექსპერტი.[49] ამასთან, 2020 წელთან შედარებით, მიმდინარე წელს, უფლებრივი კრიტერიუმების ნაწილში 19-ის ნაცვლად 24 სახელმძღვანელო გასაჩივრდა, თუმცა კომისიას შემფასებელი რეცენზენტები პროცესში არ ჩაურთავს.[50] ამასთან, როგორც უკვე აღინიშნა, პროცესში ჩართვის შემთხვევაშიც კი, შესაბამის რეცენზენტებსა და დამოუკიდებელ სპეციალისტებს საბოლოო გადაწყვეტილების მიღებაში

[45] „თანასწორობის პოლიტიკა ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში" საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია გვ. 18, იხ. https://bit.ly/3uFmV7N 04/10/2021; ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის გრიფირების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 16 თებერვლის №28/ნ ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული დანართის მე-9[2] მუხლის მესამე პუნქტი, (2019 წლის 26 სექტემბრის მდგომარეობით.)

[46] საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის 23 სექტემბრის 17-1/9393 წინადადება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების სახელმძღვანელოების/სერიების მაკეტების რეცენზირების პროცესის გაუმჯობესების თაობაზე, გვ. 9.

[47] იქვე.

[48] იქვე.

[49] იქვე, 9-10; „ფიზიკურ ან იურიდიულ პირთა (რომელიც საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წარუდგენს გრიფირების განაცხადს კონკრეტული სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტისთვის გრიფის მინიჭების თხოვნით) მოსაზრებების მიღებისა და განხილვის მიზნით დროებითიკომისიის შექმნის შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 17 მაისის N619 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2020 წლის 04 მაისის MES 7 20 00361060 ბრძანების პირველი პუნქტი.

[50] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2021 წლის 27 სექტემბრის MES 8 21 0000987637 წერილი.

მონაწილეობის უფლებამოსილება არ აქვთ და მათი მოსაზრებები სარეკომენდაციო ხასიათისაა.[51]

ამდენად, სახალხო დამცველი კვლავ ხაზს უსვამს, რომ სააპელაციო კომისიის დაკომპლექტების არსებული პრაქტიკა სრულად არ პასუხობს საერთაშორისო სტანდარტებს. აღნიშნულთან თავსებადობის უზრუნველსაყოფად, აუცილებელია კომისიის წევრთა შემადგენლობაში, გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის სრული უფლებამოსილებით, შევიდეს ადამიანის უფლებათა ექსპერტი/სფეროში მუშაობის შესაბამისი გამოცდილების მქონე პირი.

დასკვნა

საქართველოს სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ რეცენზენტთა საგნობრივი ჯგუფის წევრთა ადამიანის ძირითად უფლებებში საჭიროებაზე დაფუძნებულ ტრენინგებზე ნაკლები ხელმისაწვდომობა, სააპელაციო კომიტეტის შემადგენლობაში ადამიანის უფლებათა ექსპერტის არყოფნა, გენდერული თანასწორობის მიმართ საგნობრივი ჯგუფის წევრთა დაბალი მგრძნობელობა და სხვა საკითხები ის გამოწვევებია, რომელთა გამოც შეფასების პროცესი ადამიანის უფლებათა განათლების საერთაშორისო სტანდარტებთან სრულ შესაბამისობაში არ არის.

აღნიშნულიდან გამომდინარე, შინაარსობრივი რეცენზირების შემდგომი პროცესის დახვეწის მიზნით, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ "საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ" ქვეპუნქტის საფუძველზე, მოგმართავთ წინადადებით:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს:

- უზრუნველყოფილ იქნეს ადამიანის ძირითად უფლებებთან დაკავშირებულ საკითხებზე, მათ შორის, უფლებრივი ასპექტების სხვადასხვა საგნის სახელმძღვანელოში ინტეგრირების მეთოდოლოგიის შესახებ, საჭიროებებზე დაფუძნებული სავალდებულო ტრენინგ-პროგრამების შემუშავება და ჩატარება რეცენზენტებისათვის;
- საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ დადგენილი სტანდარტების დანერგვის მიზნით, უზრუნველყოფილ იქნეს რეცენზენტთა საგნობრივი ჯგუფის ყველა წევრისათვის მითითების მიცემა იმაზე, რომ შინაარსობრივი რეცენზირებისას სახელმძღვანელოებში თანასწორობის დაცვის კრიტერიუმის გამოყენება მოხდეს არამხოლოდ სასწავლო მასალიდან რაიმე ნიშნით დისკრიმინაციული, ან მისი წამახალისებელი ტექსტის ამოღების, არამედ გენდერული თანასწორობის წახალისების მიზნითაც;
- უზრუნველყოფილ იქნეს შესაბამისი საფეხურ(ებ)ის სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტის რეცენზირების წესში ცვლილებები იმდაგვარად, რომ შესაძლებელი გახდეს

[51] გრიფირების წესის მე-10 მუხლის მესამე პუნქტი

საგნობრივი ჯგუფის მიერ გაცემულ რეკომენდაციებთან მასალის ნაწილობრივ თავსებადობის (ავთენტურობის) დადასტურების შესაძლებლობა (საგნობრივი ჯგუფისთვის სავალდებულო რეკომენდაციების გაცემის და მათ შესასრულებლად დამატებითი ვადის განსაზღვრის უფლებამოსილებით);

- სააპელაციო კომისიის ერთ-ერთ წევრად, გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის სრული უფლებამოსილებით, განისაზღვროს ადამიანის უფლებათა სფეროში მუშაობის შესაბამისი გამოცდილების მქონე ექსპერტი;
- შეიცვალოს მაკეტის საჯარო განხილვის არსებული მოდელი, საზოგადოებრივი საწყისის უზრუნველსაყოფად პროცესში მოსწავლეთა მშობლების ჩართვის გზით.

გთხოვთ, განიხილოთ წარმოდგენილი წინადადება და მაცნობოთ პასუხი „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით განსაზღვრულ ვადაში.

პატივისცემით,